



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 134

2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის მუსიკალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარგენილია შესაბამისი პროგრამა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა“ დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი იანვრიდან.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

3

ვაჟა შუბითიძე

პროგრამის ადმინისტრირების (მისი მართვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის)
წესები და პირობები

განაცხადის მიღებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

განცხადების დამუშავებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი
სოციალური პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალური უზრუნველყოფის სამსახური

გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალური უზრუნველყოფის სამსახური

გადაწყვეტილების პროექტის ვიზირებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგებლის მოადგილე, საბიუჯეტო სამსახური

პროგრამის ზედამხედველობაზე პასუხის-
მგებელი პირი/ორგანო

სოციალური სფეროს კურატორი გამგებლის
მოადგილე

პროგრამის პერიოდულ მონიტორინგზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი

დანართი

1.	პროგრამის სათაური	ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა
2.	პროგრამის მიზანი	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის მუსიკალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა
3.	პროგრამის რეგულირების სფერო	დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მუსიკალური განათლების ხელმისაწვდომობა
4.	პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე, ბენეფიციარები	დევნილის სტატუსის მქონე მოსწავლეები და მოსწავლეები იმ ოჯახებიდან, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 70 000 ქულას
5.	ბენეფიციართა რაოდენობა	190 მოსწავლე
6.	პროგრამის მოქმედების ვადა	ერთი წელი
7.	პროგრამის დაწყების თარიღი	01.01.2017 წ.
8.	პროგრამის დასრულების თარიღი	31.12.2017 წ.
9.	თვეში ერთი მოსწავლის დაფინანსების თანხა	12 ლარი
10.	პროგრამის ბიუჯეტი	23 000 ლარი
11.	დაფინანსების წყარო	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი
12.	პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე	მარტივი
13.	მუნიციპალური პროგრამის განხორციელების მექანიზმი	საბიუჯეტო წლის დასაწყისში სახელოვნებო სკოლების დირექციები გამგეობას წარუდგენენ პროგრამის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სტატუსის მქონე მოსწავლეების პერსონალურ სიებს სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების თანდართვით. ასევე დასაფინანსებელი კონტიგენტისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ გამგეობას აცნობებენ ყოველთვიურად 20 რიცხვისათვის
14.	გადაწყვეტილების მიმღები პირი	მუნიციპალიტეტის გამგებელი